



MES 3 20 0001075265



06/11/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 23.10.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:10 სთ

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა

სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი (I საკითხი)

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (II, III საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის მდივანი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ირმა წერეთელი**- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

9. ევა ევალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ნიკოლოზკვიციანი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. რომეო გალდავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სერგო ტეფნაძე	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ემზარ ბარბაქაძე	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	I
3	დავით ტეფნაძე	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ბექა ბუაძე	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი	I

5	ნიკა თიკანაშვილი	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი	I
6	მარინე ციმაკურიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	II, III
7	დავით გელოვანი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
8	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.07.2015 N109
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები, 0716

12	კვალიფიკაციის კოდი	0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი N16, თბილისი, 0103, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ნიკა თიკანაშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

პირველი საკითხის განსახილველად აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს - თამარ ტუფინაშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ასევე შესაბამის დოკუმენტაციას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ „საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2020 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის დაცვით, ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით

წარმოდგენილ ინფორმაციასთან მათი შესაბამისობა. შემოწმდა საავიაციო უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსებული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის ფონდი. ვიზიტის ბოლოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის გაცნობილ იქნა ძირითადი მიგნებები. ვიზიტის პერიოდში გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა განსაზღვრულ რჩევებზე, კერძოდ:

1. სასწავლო კურსი „ავიაციის საფუძვლები“ მიზანშეწონილია გადავიდეს თავისუფალი კომპონენტის ბლოკიდან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკში, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ ბლოკში საჭირო ხომალდების შემსწავლელი სასწავლო კურსის არსებობა;
2. სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაწერის დროს მეტი ყურადღება მიექცეს ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებას და სილაბუსებში ტექსტების სტილისტურ გამართულობას;
3. მიზანშეწონილია შემცირებულ იქნას სასწავლო კურსის „საავიაციო მეტეოროლოგიის“ მოცულობა და გადახედო იქნას თემატური საკითხები ინჟინრის კვალიფიკაციის საჭიროების შესაბამისად;
4. სასურველია ლაბორატორიებში დასაქმებულ პერსონალს ჰქონდეს გავლილი სპეციალური სწავლება ლაბორატორიების მწარმოებელი კომპანიისგან შეძენილი ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჭირო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ ყველა რჩევას იზიარებს.

პირველ რჩევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი „ავიაციის საფუძვლები“ პროგრამაში მოცემული იყო არჩევითი საგნის სახით, გამომდინარე იქიდან, რომ ის თავისი შინაარსით პირდაპირ არ გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე. თუმცა იქიდან, გამომდინარე, რომ სტუდენტების მხრიდანაც საკმაოდ დიდი ინტერესია აღნიშნული სასწავლო კურსის მიმართ, რჩევის შესაბამისად, ის გადატანილი იქნება ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში.

პირველი რჩევის მსგავსად, მე-2 და მე-3 რჩევაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

რაც შეეხება მე-4 რჩევას, აღნიშნული ლაბორატორიული ბაზაში ერთიანდება სარადარო სისტემები, ანტენები, მიმღები მოწყობილობები და ელექტრონიკის ლაბორატორია, რომელიც შეძენილი იქნა მადრიდში. ინსტალაციის პროცესის პერიოდში პერსონალმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ აღნიშნულ მოწყობილობებს, მათ გაიარეს დისტანციური სწავლება ტექნიკური მომსახურების პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა სამომავლოდ იგეგმება სპეციალისტების ჩამოსვლა და ტრენინგების ჩატარება, ასევე დაწესებულების თანამშრომლების გაგზავნა ესპანეთში აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:28

დასრულების დრო: 16:40

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

16:40 საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს წევრი ევა ეკალაძე.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მეორე და მესამე საკითხი ერთად იქნა განხილული, რადგან აღნიშნული საკითხები წარმოადგენდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების ანგარიშების განხილვას, სადაც გაცემული რეკომენდაციები იყო თითქმის მსგავსი და ორივე ანგარიში შესწავლილი იქნა ერთიდაიგივე ექსპერტის მიერ.

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N26 09.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ, 33
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N25 09.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ, 33
12		-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ ორჯონიკიძემ, გაიანე სიმონიამ და ეკა ეკალაძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა ექსპერტის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით თსსუ-ს საბაკალავრი პროგრამების „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „მენეჯმენტის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ანგარიშების წარმოდგენის ვადა დაწესებულებას განესაზღვრა 6 თვე - 14.09.2020-მდე, შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ ანგარიში წარმოდგენილ იქნა 11.09.2020. რეკომენდაციების სრულფასოვნად შესრულებისათვის უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ და „მენეჯმენტის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ კურიკულუმების კომიტეტმა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვისთვის და პროცესის წარამტებით მართვისთვის, მოიწვია ფაკულტეტის როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. რიგ სილაბუსებში გასწორდეს პრაქტიკული და კოლოქვიუმის საათების გადანაწილება დაგეგმილი კრედიტ-საათების მიხედვით;

2. მეტი გამჭვირვალობისათვის სილაბუსების სასწავლო გეგმაში გაიწეროს სალექციო და სემინარული მუშაობისათვის განკუთვნილი დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტებისათვის გაუგებარი ხდება, თუ რომემელ თეორიულ საკითხს რამდენი საათი ეთმობა;

3. ზოგიერთი სასწავლო კურსების შედეგები ფასდება ორი სხვადასხვა ფორმულით, რომელიც შინაარსობრივად ერთიდაიგივეა. რეკომენდირებულია, შეფასების სისტემის გამარტივება, რათა უფრო გასაგები გახდეს სტუდენტისათვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა როგორც ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, ასევე რჩევებიც.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევა, რომელიც ეხებოდა წინაპირობების რუკის შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ წინაპირობები იყო შემუშავებული და სილაბუსში იყო მითითებული, თუ რა სასწავლო კურსი ჩაითვლებოდა წინაპირობად, დაწესებულების მიერ შემუშავებული რუკა არ იყო პროგრამის ნაწილად წარმოდგენილი, რაც გამოსწორდა.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა განახორციელა თუ არა დაწესებულებამ პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები, განსაკუთრებით მენეჯმენტის საგნებსა და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართულნი არიან საფრანგეთის აკადემიის წარმომადგენლები. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ხარვეზები აღმოიფხვრება და ცვლილებების გატარება აუცილებლად განხორციელდება. მოხდება საფრანგეთის აკადემიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობითა და მათთან თანამშრომლობის გზით. დაწესებულება ასევე გეგმავს ლიტერატურის ცვლილებასა და მის განახლებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:58

დასრულების დრო: 17:00

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0


საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება


გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ

